

# ურთიერთგაგების მემორანდუმი


საქართველოს მთავრობასა

და

შპს „ფშავი ჰიდროს“

თარიღი: LG ნომბერი, 2015.

თბილისი, საქართველო



წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „ფშავი ჰიდრო“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 405026234, წარმოდგენილი დირექტორის ზაზა არდიშვილის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

## I - განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
  - 1.2. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეს/დღეებს.
  - 1.3. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.
  - 1.4. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.
  - 1.5. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
  - 1.6. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას ერთობლივად.
  - 1.7. „პროექტი“ ნიშნავს ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
  - 1.8. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
  - 1.9. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.
  - 1.10. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს, მათ შორის მშენებლობის ხარჯებს, საექსპლუატაციო ხარჯებს და პროექტის ფარგლებში გაწეულ სხვა ხარჯებს.


## II - მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად პროექტის განხორციელება.

## III - სამშენებლო ფაზა

3. სამშენებლო ფაზა იწყება წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან და სრულდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ფაქტობრივ დღეს, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადისა.
4. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
  - 4.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
  - 4.2. წარადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, შესაბამისი საჯარო განხილვების შედეგები და მიიღოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- 4.3. მიიღოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა;
  - 4.4. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა;
  - 4.5. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 4.6. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
  - 4.7. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სხვა მოთხოვნების შესაბამისად.
  - 4.8. კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს სრული და თავისუფალი წვდომა ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;
  - 4.9. კომპანია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.
5. სამშენებლო გარანტია
- 5.1. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მემორანდუმის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის ვადაში კომპანია ვალდებულია მთავრობის სასარგებლოდ წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია 133 000 (ასოცდაცამეტი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.
  - 5.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროსგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.
  - 5.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროსგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.
  - 5.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
    - ა) კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაიხადა მემორანდუმის 5.2 და 5.3 მუხლებით განსაზღვრული დაკისრებული ჯარიმა - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.



ბ) მთავრობა მე-10 მუხლის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - არსებული სამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით, გარდა მემორანდუმის 10.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

#### IV - ელექტროენერჯის რეალიზაცია


6. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“) განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი („ზამთრის თვეები“) ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების ექსკლუზიური რეალიზაცია სრულად უნდა განხორციელდეს საქართველოს შიდა (ადგილობრივ) ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.
7. მემორანდუმის მე-6 მუხლში აღნიშნული საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეების გარდა, წლის დანარჩენ პერიოდში, კომპანია უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განხორციელოს ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### V - მხარეთა ვალდებულებები

8. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
  - 8.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
  - 8.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;
  - 8.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
9. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
  - 9.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
  - 9.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

#### VI - მემორანდუმის გაუქმება

10. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
  - 10.1. კომპანიამ არ შეასრულა მემორანდუმის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება - ავტომატურად, მემორანდუმის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე.
  - 10.2. მე-5 მუხლის 5.2 ან/და 5.3 პუნქტებით გათვალისწინებული დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს.



- 10.3. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე.
- 10.4. კომპანიის მიერ მოწოდებული ან მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 60 დღეზე მეტი ვადით.
11. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 11.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაეცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
- 11.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
- 11.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებალობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას.
12. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი, მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 12.1. მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა მემორანდუმის შეწყვეტამდე 90 დღით ადრე.
13. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 13.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაეცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
- 13.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
- 13.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებალობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას;
- 13.4. კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი 1 (ერთი) წლის განმავლობაში;
- 13.5. მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს არსებული საბანკო გარანტია 15 დღის განმავლობაში.

## VII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

14. მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## VIII - ფორს-მაჟორი

16. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი,

უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან ნებისმიერი უბედურება ან მსგავსი მოვლენა.


17. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მეორე მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძვლით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### IX - დამატებითი დებულებები

- 18. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.
- 19. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

### X - ხელმოწერები


საქართველოს მთავრობა




---

კახა კალაძე

შპს „ფშავი ჰიდრო“



ზაზა არდიშვილი



დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მ.ზ.დ.		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
სკურდიდი ჰესი	აჭარის რეგიონი, მდინარე სკურდიდი	321	240	6,87 მლნ. კვტ. სთ.	1,33 მგვტ.

გ. ძეგა


დანართი N2

სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 4 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან	დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი		ექსპლუატაციაში მიღება
12 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		

სკურდიდი ჰესის მშენებლობისა და სამონტაჟო სამუშაოების დეტალური ვადები													
N	სამუშაოს დასახელება	თვეების რაოდენობა											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	საინჟინრო სამუშაოები												
1.1	პროექტის ფინალური კვლევისათვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება												
1.2	საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურებები მშენებლობის განმავლობაში												
2.	მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები												
2.1	ობიექტის მშენებლობა												
2.2	გზების, ხიდის მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები												
3.	სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები												
3.1	სადაწნეო მილსადენის მშენებლობა (გაყვანა + გამაგრება + ბეტონის სამუშაოები)												
3.2	სამშენებლო სამუშაოები დერივაციამდე, დერივაციაზე, კაშხალზე												
3.3	კაშხლის ტანის მშენებლობა												
3.4	წყალსამყვების მშენებლობა												
3.5	სარქველის ოთახი და სადაწნეო მილები (მოიცავს ჰიდრომექანიკას)												
3.6	ჰესის და ქვესადგურის მოწყობილობები												
3.7	წყალგამყვანი არხი												
4.	საექსპლუატაციო სამუშაოები												
4.1	ტესტირება												
4.2	ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოები და ოპერირების დაწყება												

*წ. ძეგ*







## საქართველოს მთავრობის ბანაკრულება

№2325 2015 წლის 28 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის დასადები  
ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



15946

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010134793613715

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7548

02 / ოქტომბერი / 2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 25 სექტემბრის №04/3626 წერილით საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ცხიფიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



2014 წლის 19 ივნისს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდრო“-ს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის

### დასკვნა

2014 წლის 19 ივნისს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდრო“-ს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს აჭარის რეგიონში, მდინარე სკურდიდზე 365-265 მ.ზ.დ. ნიშნულებს შორის 1,42 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხის შესწავლაზე, შემდგომში მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირების მიზნით, მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით.

შპს „ფშავი ჰიდროს“ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, დანართი 2-ის მიხედვით პერიოდულად (3 ეტაპად), საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში უნდა წარმოედგინა საპროექტო-სადიებო კვლევითი სამუშაოების ჩატარების შესახებ შესაბამისი ანგარიშები - დოკუმენტაცია.

შპს „ფშავი ჰიდროს“- მიერ, ყველა ეტაპზე (3 ეტაპი) წარმოდგენილი დოკუმენტაცია საპროექტო-სადიებო კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე შეესაბამება მემორანდუმის დანართი 2-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასევე აღნიშნული ანგარიშები/დოკუმენტაცია წარმოდგენილია შესაბამის ვადებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის მხრიდან მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

დავით შარიქაძე

დეპარტამენტის უფროსი

ენერგეტიკული დეპარტამენტი